საფეხბურთო ერთობა "მესხეთი"

ასაკი: 5–9 წელი

ბედნიერი, გაბედული და თავდაჯერებული ბავშვის განვითარება ფეხბურთის საშუალებით.

ძვირფასო მშობლებო,

5-9 ასაკში ჩვენი მთავარი მიზანი არ არის ფეხბურთელების გაზრდა.

არამედ ბედნიერი, თავდაჯერებული, გაბედული და აქტიური ბავშვების აღზრდა ფეხბურთის საშუალებით.

1. ამ ასაკში გამარჯვება არ იზომება ქულებით, გოლებითა და ჩემპიონობით.

✓ ჩვენთვის გამარჯვებაა, როდესაც ბავშვი:

- სიხარულით მოდის ვარჯიშზე,
- ლაღად თამაშობს ფეხბურთს,
- იღიმება თამაშისა და ვარჯიშის დროს,
- მეგობრობს თანაგუნდელებთან,
- გაბედულად ცდილობს ახალ მოქმედებებს,
- არ ეშინია შეცდომის,
- ვითრდება ყოველდღიურად.

✓ ჩვენი ყურადღება მიმართულია:

- რამდენად აქტიურად არის ბავშვი ჩართული თამაშში,
- რამდენჯერ შეეხო ბურთს,
- რამდენჯერ სცადა მოწინააღმდეგის მოტყუება,
- რამდენჯერ მოიპოვა ბურთი მოწინააღმდეგისგან,
- რამდენად ავლენს ცნობისმოყვარეობასა და გამბედაობას.

✓ თუ ბავშვი თამაშობს, იღიმება და სიხარულით ბრუნდება შემდეგ ვარჯიშზე ნიშნავს რომ ჩვენ სწორ გზაზე ვართ.

2. მწვრთნელი ასწავლის, მშობელი ამხნევებს

➢ მაყურებლის სივრციდან ან მოედნის გვერდიდან მშობელი არ მიუთითებს, მხოლოდ ქომაგობს.

„გაიქეცი - მოატყუე - გადააწოდე - გაიტანე “ –ეს მწვრთნელის პასუხისმგებლობაა.

✓ ბავშვის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მან თავად ისწავლოს თამაშის დანახვა, გადაწყვეტილების მიღება და პასუხისმგებლობის აღება საკუთარ მოქმედებებზე.

➢ მშობლის ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვებია:

- „ყოჩაღ!“
- „კარგად ითამაშე!“
- „სცადე კიდევ!“
- „მე შენით ვამაყობ!“

✓ თუ ბავშვი თამაშის დროს მაყურებლებში გაიხედავს, მან იქ უნდა დაინახოს მხარდაჭერა და არა მითითება.

✓ ჩვენ გვინდა, რომ ბავშვი ენდობოდეს საკუთარ აზროვნებას, სწავლობდეს საკუთარი გამოცდილებიდან და არ ეშინოდეს შეცდომის დაშვების.

✓ შეცდომა განვითარების ბუნებრივი ნაწილია.

✓ ჩვენი მიზანია ბავშვს ვასწავლოთ დამოუკიდებლად ფიქრი, ხოლო მშობლის მთავარი როლია შექმნას უსაფრთხო, დადებითი და გამამხნევებელი გარემო.

3. ყველა თამაშობს

✓ ამ ასაკში ყველა ბავშვი იღებს სათამაშო დროს.

• ჩვენ არ ვქმნით „ძირითად“ და „სათადარიგო“ მოთამაშეებს.

• ყველა ბავშვი იმსახურებს გამოცდილებას და განვითარების თანაბარ შესაძლებლობას.

• დღეს შესაძლოა ვინმემ რამდენიმე წუთით ნაკლები ითამაშოს, ხვალ კი – მეტი.

✓ მთავარია ის, რომ თითოეულმა ბავშვმა მიიღოს თამაშით სიამოვნება, გამოცდილება და განვითარების შესაძლებლობა.

✓ ჩვენი მთავარი მიზანი ფეხბურთით არის:

• ვასწავლოთ ურთიერთობა და გუნდურობა,

• დავეხმაროთ მეგობრების შეძენაში,

• შევაყვაროთ მოძრაობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი,

• გავზარდოთ თავდაჯერებული, გაბედული და პასუხისმგებლიანი ბავშვი ,

• დავეხმაროთ მას საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენასა და განვითარებაში, როგორც მოედანზე, ისე მოედნის მიღმა,

„ჯერ ბედნიერი ბავშვი — შემდეგ ფეხბურთელი.“

• ჩვენ ერთი გუნდი ვართ - თქვენ, ჩვენ და თქვენი შვილი. მადლობა ნდობისთვის.

საფეხბურთო ერთობა "მესხეთი"

ასაკი: 10 - 12 წელი

ტექნიკის და გადაწყვეტილების მიღების განვითარების ფანჯარა

ძვირფასო მშობლებო,

10-12 წელი ფეხბურთელის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია.

✓ ამ ასაკში ტვინი და სხეული განსაკუთრებით მზად არის ახალი მოძრაობების, ტექნიკური მოქმედებებისა და თამაშის გაგების შესასწავლად.

• ამიტომ ჩვენი მთავარი მიზანი ამ ეტაპზე არ არის ჩემპიონობა.

✓ ჩვენი მთავარი მიზანია:

• ტექნიკის განვითარება,

• თამაშის გაგების განვითარება,

• გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარება,

• დამოუკიდებელი და შემოქმედებითი ფეხბურთელის ჩამოყალიბება.

1. ბურთი და განვითარება შედეგზე მნიშვნელოვანია

✓ შედეგი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა მთავარი,

• გოლი, მოგება, ტურნირი - ეს ყველაფერი ფეხბურთის ნაწილია.

✓ მაგრამ ჩვენ არ ვზომავთ ბავშვს მხოლოდ ქულებით და გოლებით, ჩვენ ვზომავთ გადაწყვეტილებით, შრომით და ხასიათით.

• რამდენჯერ სცადა ფეხბურთელმა წინსვლა, გამწვავება და ცრუმოძრაობა,

• რამდენჯერ და როგორ მიიღო გადაწყვეტილება წნეხის ქვეშ,

• რამდენჯერ გაბედა რთული მოქმედების შესრულება,

• რამდენჯერ სცადა სირთულის დამოუკიდებლად გადაწყვეტა.

• რამდენად ძლიერია მისი სურვილი ახალი უნარების სწავლისა და განვითარების,

✓ ამ ასაკში შეცდომა არის განვითარების აუცილებელი ნაწილი,

✓ თუ ბავშვი შეცდომის შემდეგ კვლავ და სწრაფად ერთვება შემდგომ - ახალ საფეხბურთო ვითარებაში - ჩვენ სწორ გზაზე ვართ.

2. ყველა თამაშობს — მაგრამ პასუხისმგებლობაც არსებობს

✓ ყველა ფეხბურთელი იღებს სათამაშო დროს სამართლიანობისა და განვითარების საჭიროების მიხედვით.

✓ საყურადღებოა ასევე შემდეგი მიმართულებები:

• დასწრება,

• შრომისმოყვარეობა,

• დამოკიდებულება,

• გუნდის მიმართ პასუხისმგებლობა.

✓ ვარჯიშზე რეგულარული დასწრება ფეხბურთელის განვითარების აუცილებელი ნაწილია.

✓ ჩვენ ვასწავლით, რომ შრომასა და შესაძლებლობას შორის კავშირი არსებობს.

3. მწვრთნელი ასწავლის — მშობელი ამხნევებს

✓ დაუშვებელია მაყურებელთა სივრციდან თამაშის მართვა და მითითებების მიცემა როგორიცაა:

• „შენ თვითონ!“

• „მოატყუე!“

• „დაარტყი!“

რადგან ეს ყოველივე ხელს უშლის ფეხბურთელის დამოუკიდებელი აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებას.

✓ რომელიც საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ მწვრთნელის პასუხისმგებლობაა.

✓ მშობლის ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვებია:

• „ყოჩაღ!“

• „სცადე კიდევ!“

• „მე შენით ვამაყობ!“

✓ ბავშვი მაყურებლისაკენ უნდა იყურებოდეს მხარდაჭერისთვის და არა მითითებების მისაღებად.

4. 10-12 წლის ასაკში ფეხბურთელი ჯერ კიდევ სწავლობს საკუთარ თავს

✓ შესაბამისად ფეხბურთელის საბოლოო სათამაშო ადგილი ჯერ არ არის განსაზღვრული.

✓ ჩვენ ვაძლევთ შესაძლებლობას ბავშვებს სხვადასხვა ადგილზე გამოცადონ თავი და მიიღონ გამოცდილება.

✓ ეს ეხმარება მათ:

• უკეთ გაიგონ თამაში,

• აღმოაჩინონ საკუთარი ძლიერი მხარეები,

• გახდნენ მრავალმხრივი ფეხბურთელები.

✓ მოედანზე სათამაშო ადგილის უფრო კონკრეტული ჩამოყალიბება ძირითადად 13 წლის შემდეგ იწყება.

➢ მშობლის პასუხისმგებლობა:

• უზრუნველყოს ბავშვის დროული დასწრება ვარჯიშებსა და გუნდურ ღონისძიებებზე,

• იზრუნოს, რომ ფეხბურთელი იყოს აღჭურვილი გუნდში არსებული შიდა განაწესის შესაბამისად,

• შექმნას დადებითი, მხარდამჭერი და გამამხნევებელი გარემო როგორც მაყურებელთა სივრცეში ასევე მოედანზე,

• პატივი სცეს სამწვრთნელო მიმდინარეობას და ხელი შეუწყოს ბავშვის დამოუკიდებელ განვითარებას.

✓ ერთობლივი პასუხისმგებლობა:

• ვიზრუნოთ ფეხბურთელის სპორტულ, პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე,

• შევუქმნათ უსაფრთხო, სასწავლო და სამოტივაციო გარემო,

• დავეხმაროთ თითოეულ ფეხბურთელს საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენასა და განვითარებაში.

✓ ჩვენი საერთო მიზანი:

საფეხბურთო ერთობა მესხეთი

მშობელთათვის • ასაკობრივი ჯგუფების ხედვა და მიდგომა

- ფეხბურთის საშუალებით აღვზარდოთ ბედნიერი, თავდაჯერებული, პასუხისმგებლიანი და განვითარებაზე ორიენტირებული ახალგაზრდა.
- ჩვენ მიზანია ბავშვი ყოველი ვარჯიშისა და თამაშის შემდეგ ბრუნდებოდეს სახლში მეტი ცოდნით, უფრო თავდაჯერებული და ბედნიერი, ვიდრე მოვიდა.

➢ ბურთი და განვითარება შედეგზე მნიშვნელოვანია.

✓ ჩვენ ერთი გუნდი ვართ — თქვენ, ჩვენ და თქვენი შვილი.

მადლობა ნდობისთვის.

საფეხბურთო ერთობა „მესხეთი “

ასაკი: 13–15 წელი

პასუხისმგებლობის, პაექრობის და თვითგანვითარების ასაკი

ძვირფასო მშობლებო,

✓ 13–15 წელი ფეხბურთელის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია.

✓ ამ ასაკში იწყება არა მხოლოდ ტექნიკისა და თამაშის გაგების განვითარება, არამედ:

• პასუხისმგებლობის აღება საკუთარ განვითარებაზე,
• შრომის ჩვევების ჩამოყალიბება,
• კონკურენციის მიღება,
• ემოციური მდგრადობის განვითარება,
• საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გაცნობიერება.

➢ ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ფეხბურთელს გახდეს არა მხოლოდ უკეთესი მოთამაშე, არამედ უფრო პასუხისმგებლიანი, დამოუკიდებელი და განვითარებაზე ორიენტირებული ახალგაზრდა.

1. განვითარება და პასუხისმგებლობა ერთად მოდის.

• ამ ასაკში ფეხბურთელი უკვე უფრო აქტიურად მონაწილეობს საკუთარი განვითარების პროცესში.
• წარმატება მხოლოდ ნიჭზე არ არის დამოკიდებული.

✓ წარმატებას განსაზღვრავს:

• მიზანდასახულობა,
• შრომისმოყვარეობა,
• შეუპოვრობა,
• პასუხისმგებლობა,
• მუდმივი სწავლა,
• დამოკიდებულება.

➢ ჩვენ ვასწავლით, რომ პროგრესი ყოველდღიური მუშაობის შედეგია. ნიჭი მნიშვნელოვანია, მაგრამ ყოველდღიური ჩვევები და შრომა განსაზღვრავს მომავალს.

2. ყველა ერთნაირად არ ვითარდება

• 13–15 წელი მოზარდის ფიზიკური და ემოციური განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია.
• ერთი და იმავე გუნდის ფეხბურთელებს შორის ბიოლოგიური განვითარების განსხვავება შესაძლოა რამდენიმე წელს აღწევდეს.
• დღეს ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელი ხვალ შესაძლოა სხვამ ჩაანაცვლოს, ხოლო დღეს ფიზიკურად შედარებით გვიან მომწიფებული ფეხბურთელი მომავალში სრულიად განსხვავებულ დონეზე აღმოჩნდეს.

✓ ჩვენ არ ვირჩევთ სხეულს — ჩვენ ვაფასებთ:

• ხასიათს,

• შრომისმოყვარეობას,
• სწავლის სურვილს,
• პასუხისმგებლობას,
• განვითარებისადმი დამოკიდებულებას.
✓ გთხოვთ, ნუ შეადარებთ თქვენს შვილს სხვა ბავშვებს.
✓ ჩვენი მიზანია თითოეული ფეხბურთელის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერა.

3. ჯანსაღი პაექრობა განვითარების ნაწილია

• ამ ასაკში პაექრობა/კონკურენცია ბუნებრივი და აუცილებელი პროცესია.
• ჯანსაღი პაქრობა გვეხმარება ყოველდღიურად გავხდეთ უკეთესები.
• ყველა ფეხბურთელს ვაძლევთ განვითარების შესაძლებლობას როგორც ვარჯიშზე, ისე თამაშში.
✓ სათამაშო დრო არის განვითარების ბუნებრივი მოცემულობა, რაც ყველასთვის თანაბრად ნაწილდება, მოზარდის მზაობისა და შესაძლებლობების მიხედვით, რაზედაც ბუნებრივ ზეგავლენას ახდენს ასევე სამართლიანი მიმდგომა:
• დასწრება,
• შრომისმოყვარეობა,
• დამოკიდებულება,
• პასუხისმგებლობა,
• განვითარების საჭიროებები.
✓ ჩვენ ვამზადებთ ფეხბურთელს რეალური საფეხბურთო გარემოსთვის.

4. მწვრთნელი ასწავლის — მშობელი მხარს უჭერს

• მაყურებელთა სივრციდან თამაშის მართვა და მითითებების მიცემა დაუშვებელია.
✓ ფეხბურთელმა უნდა ისწავლოს:
• დამოუკიდებლად აზროვნება,
• გადაწყვეტილების მიღება,
• შეცდომის გამოსწორება,
• პასუხისმგებლობის აღება.
➢ მშობლის ყველაზე ძლიერი სიტყვებია:
• „ვამაყობ შენით.“
• „განაგრძე მუშაობა.“
• „სცადე კიდევ.“
• „შეცდომა სწავლის ნაწილია.“

5. შეცდომა არის განვითარების საშვალება .

✓ ჩვენ არ გვეშინია შეცდომის, რადგან შეცდომა ქმნის სწავლის საუკეთესო შესაძლებლობას.
✓ ფეხბურთელი, რომელიც გაბედულად მოქმედებს, უფრო სწრაფად ვითარდება.

✓ თუ ფეხბურთელი შეცდომის შემდეგ სწრაფად ერთვება შემდეგ საფეხბურთო ვითარებაში ნიშნავს რომ ჩვენ სწორ გზაზე ვართ.

6. ფეხბურთელი სწავლობს და ავითარებს საკუთარ გზას

- ყველა ფეხბურთელი განსხვავებულია.
- ყველა ერთსა და იმავე დროში არ ვითარდება.
- ჩვენი ამოცანაა დავეხმაროთ ფეხბურთელს აღმოაჩინოს საკუთარი ძლიერი მხარეები,
- განავითაროს სუსტი მხარეები,
- იპოვოს საკუთარი ადგილი როგორც მოედანზე ასევე მოედნის მიღმა,
- ისწავლოს პასუხისმგებლობის აღება საკუთარ მომავალზე.

➢ მშობლის პასუხისმგებლობა

- უზრუნველყოს ბავშვის დროული დასწრება გუნდურ ღონისძიებებში,
- იზრუნოს ბავშვის აღჭურვილობაზე გუნდური განაწესის თანახმად,
- უზრუნველყოს საკმარისი ძილი და აღდგენა (8.5–10 საათი);
- დაეხმაროს ფეხბურთელს ჯანსაღი ყოველდღიური განრიგის დაცვაში: — ძილი, კვება და ეკრანთან გატარებული დრო,
- შექმნას დადებითი და მხარდამჭერი გარემო,
- პატივი სცეს სამწვრთნელო პროცესს,
- დაეხმაროს ბავშვს პასუხისმგებლობისა და დისციპლინის ჩამოყალიბებაში,
- მხარი დაუჭიროს როგორც საფეხბურთო, ისე სასწავლო განვითარებას.

➢ ფეხბურთი და სკოლა-განათლება ერთმანეთს არათუ აბრკოლებს — არამედ მხოლოდ ავსებენ ერთმანეთს.

✓ ჩვენი საერთო მიზანია ფეხბურთის საშუალებით აღვზარდოთ:

✓ პასუხისმგებლიანი ახალგაზრდა,

✓ შრომისმოყვარე ადამიანი,

✓ გუნდური მოთამაშე,

✓ თავდაჯერებული პიროვნება,

✓ განვითარებაზე ორიენტირებული ფეხბურთელი.

➢ „ნიჭი მნიშვნელოვანია, მაგრამ ყოველდღიური შრომა ნიჭს ყოველთვის უსწრებს. “

✓ ჩვენ ერთი გუნდი ვართ — თქვენ, ჩვენ და თქვენი შვილი. მადლობა ნდობისთვის.

საფეხბურთო ერთობა „მესხეთი“

ასაკი: 16-18 წელი

პროფესიონალიზმის, დამოუკიდებლობისა და მომავლის არჩევის ასაკი

ძვირფასო მშობლებო,

✓ 16-18 წელი არის ეტაპი, როდესაც ფეხბურთელი თანდათან გადადის ბავშვთა ფეხბურთიდან ზრდასრულ ფეხბურთში.

✓ ამ ასაკში ჩვენი მთავარი მიზანია, თითოეულ ფეხბურთელს დავეხმაროთ ჩამოყალიბდეს პასუხისმგებლიან, დამოუკიდებელ და განვითარებაზე ორიენტირებულ პიროვნებად.

✓ ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება:

• პროფესიონალურ დამოკიდებულებას,
• დამოუკიდებელ აზროვნებას,
• პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ განვითარებაზე,
• დისციპლინას,
• შეუპოვრობას,
• სწორი ცხოვრების წესს,
• ემოციურ მდგრადობას,

1. პასუხისმგებლობა უკვე ფეხბურთელის ხელშია

✓ ამ ასაკში საკუთარი განვითარების მთავარი პასუხისმგებელი უკვე თავად ფეხბურთელია.

• მწვრთნელი მიმართულებას აძლევს.
• მშობელი მხარს უჭერს.
• მაგრამ ყოველდღიურ არჩევანს თავად ფეხბურთელი აკეთებს.

✓ წარმატებას განსაზღვრავს:

• პროფესიონალური დამოკიდებულება,
• დისციპლინა,
• პასუხისმგებლობა,
• შრომისმოყვარეობა,
• თვითგანვითარების სურვილი,

➢ ჩვენ ვასწავლით, რომ ყოველდღიური სწორი არჩევანი, თანმიმდევრული მოქმედება და შეუპოვრობა აახლოვებს სასურველ მიზანთან.

2. შედეგი მნიშვნელოვანია, მაგრამ ღირებულებები უფრო მნიშვნელოვანია

➢ ამ ასაკში გამარჯვებასა და შედეგს უკვე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

➢ თუმცა შედეგი არასოდეს უნდა გახდეს ღირებულებებზე მნიშვნელოვანი.

✓ ჩვენ ვაფასებთ ფეხბურთელს, რომელიც:

• შრომობს,
• პატივს სცემს გუნდს,

• იღებს პასუხისმგებლობას,
• ინარჩუნებს პროფესიონალურ დამოკიდებულებას როგორც გამარჯვების, ისე მარცხის დროს.
✓ ჩვენი მიზანია მოვამზადოთ ფეხბურთელი რეალური პროფესიული გარემოსთვის.

3. პროფესიონალიზმი ყოველდღიური ჩვევებიდან იწყება

➢ მაღალი დონის ფეხბურთი იწყება ყოველდღიური ჩვევებით.
✓ პროფესიონალიზმი ნიშნავს:
• სხეულზე ზრუნვას,
• საკმარის ძილს,
• სწორ კვებას,
• სრულფასოვან აღდგენას,
• დროის სწორ მართვას,
• ეკრანთან გატარებული დროის კონტროლს,
• პასუხისმგებლობას საკუთარ ჯანმრთელობაზე.
✓ ვარჯიშამდე მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თავად ვარჯიშის დროს.

4. მწვრთნელი ასწავლის — მშობელი მხარს უჭერს

➢ მაყურებელთა სივრციდან თამაშის მართვა და მითითებების მიცემა დაუშვებელია.
✓ ამ ასაკში ფეხბურთელმა უნდა შეძლოს:
• დამოუკიდებლად აზროვნება,
• თამაშის წაკითხვა,
• გადაწყვეტილებების მიღება,
• შეცდომიდან სწავლა,
• პასუხისმგებლობის აღება.
✓ მშობლის მთავარი როლია:
• მხარდაჭერა,
• ნდობა,
• გამხნევება,
• ემოციური სტაბილურობის შექმნა.
✓ ჩვენი მიზანია აღვზარდოთ ფეხბურთელი, რომელიც მოედანზე თავად ფიქრობს, აანალიზებს და იღებს სწორ გადაწყვეტილებებს.

5. ფეხბურთი და განათლება ერთად ქმნის მომავალს

✓ პროფესიონალი ფეხბურთელი პირველ რიგში პასუხისმგებლიანი ადამიანია.
✓ ფეხბურთი და განათლება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება — ისინი ერთმანეთის განვითარებას უწყობენ ხელს.
✓ ჩვენი მიზანია, თითოეულ ფეხბურთელს მივცეთ ცოდნა, ჩვევები და ღირებულებები, რომლებიც დაეხმარება წარმატების მიღწევაში როგორც სპორტში, ისე ცხოვრების ნებისმიერ მიმართულებაში.

6. ყველა ფეხბურთელს საკუთარი გზა აქვს

➢ ყველა ფეხბურთელი განსხვავებულია.

➢ ყველა ერთსა და იმავე დროს არ აღწევს საკუთარ პოტენციალს.

✓ ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ფეხბურთელს:

- საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში,
- ძლიერი მხარეების განვითარებაში,
- სუსტი მხარეების გაუმჯობესებაში,
- საკუთარი მომავლის პასუხისმგებლობით დაგეგმვაში.

➢ ჩვენ არ ვადარებთ ფეხბურთელებს ერთმანეთს — ჩვენ ვადარებთ ფეხბურთელს მის გუშინდელ თავს.

✓ მშობლის პასუხისმგებლობა:

• მხარი დაუჭიროს ფეხბურთელის დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას;

• უზრუნველყოს ფეხბურთელის დროული დასწრება გუნდურ ღონისძიებებსა და ვარჯიშებზე;

• იზრუნოს ფეხბურთელის შესაბამის აღჭურვილობაზე აკადემიის შიდა განაწესის შესაბამისად;

• შეუწყოს ხელი ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას — საკმარის ძილს, სწორ კვებას, აღდგენასა და ყოველდღიური რეჟიმის დაცვას;

• დაეხმაროს ფეხბურთელს საკუთარი დროის, სწავლისა და სპორტული ვალდებულებების პასუხისმგებლობით მართვაში;

• პატივი სცეს სამწვრთნელო პროცესსა და ფეხბურთელის დამოუკიდებლად მიღებულ გადაწყვეტილებებს;

• შექმნას მშვიდი, უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემო, სადაც შეცდომა და დაბრკოლება აღიქმება განვითარების ბუნებრივ ნაწილად;

• მხარი დაუჭიროს ფეხბურთელის როგორც სპორტულ, ისე პიროვნულ და აკადემიურ განვითარებას.

✓ ამ ასაკში ჩვენი საერთო მიზანია, რომ მშობელი ეტაპობრივად გახდეს არა გადაწყვეტილებების მიმღები, არამედ ფეხბურთელის ყველაზე ძლიერი მხარდამჭერი.

✓ ჩვენი საერთო მიზანია ფეხბურთის საშუალებით აღვზარდოთ:

• პროფესიონალური დამოკიდებულების მქონე ახალგაზრდა,

• პასუხისმგებლიანი ადამიანი,

• დისციპლინირებული სპორტსმენი,

• ძლიერი ხასიათის პიროვნება,

• განვითარებაზე მუდმივად ორიენტირებული ფეხბურთელი.

„კარიერას ნიჭი იწყებს, მაგრამ ხასიათი, დისციპლინა და პასუხისმგებლობა აგრძელებს.“

✓ ჩვენ ერთი გუნდი ვართ — თქვენ, ჩვენ და თქვენი შვილი.

მადლობა ნდობისთვის.

ფოტო-ვიდეოს გადაღება და გამოყენება

ინფორმაცია მშობლისა და კანონიერი წარმომადგენლისთვის

ძვირფასო მშობლებო,

ვარჯიშის, თამაშისა და ერთობის ღონისძიებების ფოტო-ვიდეო მასალა გვეხმარება სასწავლო პროცესის გაანალიზებაში, ბავშვების პროგრესისა და ერთობის საქმიანობის წარმოჩენაში. ამ მასალაში ფეხბურთელი შესაძლოა ამოცნობადი იყოს.

როგორ აფიქსირებთ თქვენს არჩევანს?

ეს გვერდი საინფორმაციოა. ფოტო-ვიდეოს გამოყენებაზე არჩევანს აფიქსირებთ ვებგვერდზე განთავსებულ ცალკე თანხმობის ფორმაში.

რა მიზნებისთვის ვითხოვთ თანხმობას?

01 **შიდა არქივი და სასწავლო ანალიზი**

ვარჯიშის, თამაშისა და ღონისძიებების ჩანაწერების გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის. წვდომა აქვთ მხოლოდ ერთობის უფლებამოსილ თანამშრომლებს.

02 **ვებგვერდი და სოციალური ქსელები**

ფეხბურთელის ამოცნობადი გამოსახულების გამოქვეყნება fcmeskheti.com-ზე და ერთობის ოფიციალურ Facebook, Instagram, TikTok და YouTube გვერდებზე.

03 **სარეკლამო და საინფორმაციო მასალა**

ფოტო-ვიდეოს გამოყენება ერთობის საქმიანობის ამსახველ პუბლიკაციებში, ბეჭდურ მასალებსა და ბროშურებში.

04 **გრანტის / სპონსორის ანგარიშგება**

მასალის გამოყენება მხოლოდ მიზნობრივი საქმიანობის ანგარიშგებისთვის, საჯარო გამოქვეყნების გარეშე.

თქვენი არჩევანი და მისი შეცვლა

თანხმობა ნებაყოფლობითია. უარი არ ზღუდავს ფეხბურთელის გაწევრიანებასა და ვარჯიშში მონაწილეობას. გზამკვლევის გაცნობა ან მისი პირობების მიღება თავისთავად არ ნიშნავს ფოტო-ვიდეოს გამოყენებაზე თანხმობას.

დასაშვებია მხოლოდ ცალკე ფორმაში დადასტურებული მიზნებისთვის გამოყენება. სახელი და გვარი არ გამოქვეყნდება ცალკე თანხმობის გარეშე. ერთობა მასალას მესამე პირს დამოუკიდებელი კომერციული გამოყენებისთვის არ გადასცემს.

კითხვები, არჩევანის შეცვლა ან თანხმობის გამოხმობა

ტელეფონი: 555 65 15 60 | ელფოსტა: info@fcmeskheti.com